ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
26.11.2010 N 154
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის
არჩევნების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის №347 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წლის 26 ნოემბრიდან დაიწყოს აკადემიური საბჭოში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის წარმომადგენლის არჩევნები წარმოქმნილი ერთი ვაკანსიის შესავსებად;
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სრულ ან/და ასოცირებულ პროფესორებს;
3. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში; განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის შესახებ;
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 6 დეკემბერს და დასრულდეს 15 დეკემბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს – 22 დეკემბერს;
5. არჩევნების შედეგები გამოიკრას არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*